

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

___ იანვარი, 2021 წელი

ქალაქი ბათუმი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული
ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის
მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისადმი ქალაქ ბათუმის N28 ოლქის მაჟორიტარი პარლამენტის წევრის რესან კონცელიძის 2021 წლის 13 იანვრის N236/3-52/21 წერილის საფუძველზე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, ლუკა ასათიანის ქ. N25-ში მდებარე 32,86 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის (ოთახები N24 და N25 (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 05.22.31.001)) სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით (ქირავნობა) ქალაქ ბათუმის N28 ოლქის მაჟორიტარი პარლამენტის წევრის რესან კონცელიძისათვის, პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადით, გადაცემის თაობაზე.

2. პირველ პუნქტში მითითებული ფართის წლიური სარგებლობის საფასური განისაზღვროს 1800,0 (ერთი ათას რვაასი) ლარის ოდენობით.

3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. წინამდებარე განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თაბიძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი
პროექტის სახელწოდება და სათაური

**„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი**

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის N28 ოლქის მაჟორიტარი პარლამენტის წევრი რესან კონცელიძე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში 2021 წლის 13 იანვარს წარმოდგენილი N236/3-52/21 წერილით, პარლამენტის წევრის ბიუროს ფუნქციონირებისათვის ითხოვს ფართის გამოყოფას ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ ბათუმის N28 ოლქის მაჟორიტარ პარლამენტის წევრს რესან კონცელიძეს სასყიდლიან სარგებლობაში გადაეცეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქ. ბათუმში, ლუკა ასათიანის ქ. N25-ში განთავსებულ ადმინისტრაციულ შენობაში (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 05.22.31.001) მდებარე 32,86 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი (ოთახები N24 და N25), პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადით და წლიური სარგებლობის საფასური განისაზღვროს 1800,0 (ათას რვაასი) ლარის ოდენობით.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებულ, ქ. ბათუმში, ლუკა ასათიანის ქ. N25-ში მდებარე ადმინისტრაციულ შენობაში (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 05.22.31.001) არსებული 32,86 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის (ოთახები N24 და N25) ბათუმის N28 ოლქის მაჟორიტარი პარლამენტის წევრის რესან კონცელიძისათვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადით სასყიდლიან სარგებლობაში (ქირავნობა) გადაცემა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო: პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის სამემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის განხორციელება დადებითად აისახება ბიუჯეტის სამემოსავლო ნაწილზე - სარგებლობის ვადის განმავლობაში დამქირავებლის მიერ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ქირის სახით წელიწადში განხორციელდება 1800,0 ლარის შეტანა.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების
მართვის სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი**

დავით კოპინაძე



საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის წევრი



236/3-52/21 2 13012021



236/3-52/21
13-01-2021

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ არჩილ ჩიქოვანს

მის. ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის №25

ბატონო არჩილ,

გთხოვთ, ქ. ბათუმის №28 ოლქის მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ბიუროს ფუნქციის განსახორციელებლად, იჯარის წესით დროებით სარგებლობის უფლებით გადმოგვცეთ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში არსებული ფართი.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
რესან კონცელიძე